ირაკლი ფაღავა

ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა მონეტების მიმოქცევის შესასწავლად[1]

რეზიუმე

სტატიის მიზანია ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) ვერცხლის საფასის, სირმა თეთრის მიმოქცევის შესწავლა. მოყვანილია მონაცემები სირმა მონეტების შემცველი ექვსი ექსკლუზიურად სამონეტო თუ შერეული კომპლექსის შესახებ. სამი მათგანი პირველად ქვეყნდება, სამი კი აქამდეც გამოქვეყნებულა, მაგრამ ისტორიული ანალიზის გარეშე. სამი სამონეტო კომპლექსი ფორმირებულია XVIII-XIX საუკუნის კავკასიურ სახანოებში, სამი კი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე. ამ სამონეტო კომპლექსების ატრიბუცია განხორციელდა სირმა თეთრის შემცველი განძების ავტორის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით. ამ ახალი სამონეტო კომპლექსის შესწავლის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა მისცა ავტორს შესაძლებლობა, გაეღრმავებინა სირმა თეთრის შემცველი განძების მეტა-ანალიზი. ერთ-ერთი შერეული კომპლექსი ხანგრძლივი დაგროვების განძი აღმოჩნდა; სავარაუდოდ, სალოცავისადმი შეწირული მონეტების ნაკრებს წარმოადგენს, და, შესაბამისად, არა მარტო ეკონომიკური, არამედ, ასევე, კულტუროლოგიური პირველწყაროს მნიშვნელობაცა აქვს.

საკვანძო სიტყვები: *ქართლ-კახეთის სამეფო, სირმა თეთრი, ქართული ნუმიზმატიკა, ფულის მიმოქცევა, სამონეტო კომპლექსი*

ქართველი ერისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიაში გამორჩეული ადგილი ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს უკავია. ყველა დანარჩენ ქართულ-სამეფო სამთავროსთან შედარებით, ქართლ-კახეთის სამეფოს აშკარად, ყველაზე მეტი პოლიტიკურ-სამხედრო, ეკონომიკური თუ კულტურული პოტენციალი გააჩნდა. თუმცა, მისი რეალიზაცია ვერ მოხერხდა - 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიამ შთანთქა.

ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა ნუმიზმატიკური მონაცემები. სამეფოს ნუმიზმატიკური წარსულის ანალიზი გვეხმარება ამ სახელმწიფოს ისტორიის არა მარტო ეკონომიკური, არამედ, ასევე, პოლიტიკური და კულტუროლოგიური ასპექტების კვლევაშიც.

ჩვენი **მიზანია,** გავაგრძელოთ 1744-1801 წლების[2] ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკური ისტორიის კვლევა, კერძოდ, ამ ქართული სახელმწიფოს ფულადი მიმოქცევის შესწავლა.[3]

---

[1] ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო გრანტი YS-21-2879: *ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) ფულადი პოლიტიკა და ისტორია*).

[2] 1801 წელი წარმოადგენს სამეფოს არსებობის დასასრულს, მის სათავედ კი 1744 წელს მივიჩნევთ, როდესაც მამა-შვილი, თეიმურაზ II და ირაკლი II, შესაბამისად ქართლისა და კახეთის მეფეები გახდნენ (და არა 1762 წელს, როდესაც თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ირაკლი ერთპიროვნული მმართველი გახდა და ორივე სამეფო ფორმალურადაც გაერთიანდა).

[3] აღნიშნულ საკითხს მიეძღვნა ჩვენი ბოლოდროინდელი პუბლიკაციები: ირაკლი ფაღავა, "ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების კავკასიაში მიმოქცევის თაობაზე (სირმა აბაზების შემცველი ორი განძი მანავიდან და კოჯრიდან) / Irakli Paghava, "New Data on the Circulation of Silver Coins of the Kingdom of Kartl-Kakheti in Caucasus (Two Hoards Comprising Sirma Abazis from Manavi and Kojori)", *საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, მოხსენებათ თეზისები / International Congress of Caucasian Studies. Abstracts. თბილისი / Tbilisi, 3-5/X/2022*, ([თბილისი:] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

წარმოვადგენთ XVIII-XIX საუკუნეების რამდენიმე სამონეტო კომპლექსს, რომელიც შეიცავდა (ექსკლუზიურად თუ ნაწილობრივ) ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ნაციონალურ ვერცხლის საფასეს, ე.წ. სირმა ვერცხლს; და შევისწავლით მათ ისტორიულ მნიშვნელობას სირმა მონეტების შემცველი სხვა განძების მეტა-ანალიზის ფარგლებში. მოგვყავს ცნობები ექვსი ამგვარი კომპლექსის შესახებ; ამასთანავე, სამი მათგანი უკვე გამოქვეყნებულია, თუმცა, მეტწილად, სათანადო ანალიზის გარეშე; სამი კი პირველად ქვეყნდება, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის ფარგლებში.

მოგვყავს ხსენებული სამონეტო კომპლექსების აღწერილობა. თითოეულს შესაბამისი ანალიზი დაერთვის.

სამონეტო კომპლექსი I

2008 წელს სომხეთის რესპუბლიკაში, დაუზუსტებელ ადგილას, აღმოაჩინეს დაახლოებით 20 ვერცხლის მონეტა. ცნობა ამ განძის შესახებ გამოქვეყნდა 2015 წელს.[4] ავტორის მიხედვით, 20 მონეტიდან დათვალიერდა 8 ცალი, რომელთაგან 6 წარმოადგენდა თბილურ სირმა აბაზს (გაურკვეველი თარიღებით), 1 განჯის სახანოს ვერცხლის მონეტას, დათარიღებულს ჰ. 1202 წლით (1787/8), და 1 ორაბაზიანს, მოჭრილს რუსული ადმინისტრაციის მიერ თბილისის ზარაფხანაში 1819 წელს. გადმოცემით, დანარჩენი 12 მონეტიდან 11 წარმოადგენდა ასევე სირმა აბაზს, 1 კი განჯის სახანოს იმავე ტიპის მონეტას. ყველა მონეტას ეტყობოდა მირჩილვის კვალი და, მათ, "შესაძლოა, ღილებად იყენებდნენ".[5] ამრიგად, 20 მონეტიდან 17 (85%) წარმოადგენდა თბილისურ სირმა აბაზს, 2 (10%) განჯის სახანოს სამონეტო ნაწარმს, და 1 მონეტა (5%) კი თბილურ ორაბაზიანს, ანუ, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში განხორციელებული სამონეტო ემისიის პროდუქტს.

ამ სამონეტო კომპლექსის ფორმირების ადგილი უცნობია, თუმცა, ერევანში მისი აღმოჩენა გარკვეული ალბათობით ისტორიულ ერევნის სახანოს ტერიტორიაზე მიუთითებს. სამონეტო კომპლექსიც, საფიქრებელია, გარკვეულწილად მაინც, ერევნის სახანოს სამონეტო მიმოქცევას ასახავს. ამ სამონეტო კომპლექს პირობითად *ერევნის I განძს* ვუწოდებთ.

ყველაზე გვიანდელი მონეტა 1819 წლის თბილური ორაბაზიანია, რომელიც არის კიდევაც terminus ante quem non კომპლექსის ჩამოყალიბებისათვის.

ამრიგად, ეს განძი მიეკუთვნება სირმა მონეტების შემცველი განძების II ჯგუფს, რომლებიც ასახავენ საფასის მიმოქცევას ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელ სახანოებში (ჩვენს მიერ შემუშავებული კლასიფიკაციით[6]).

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. [Tbilisi:] Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2022), 94, 206; ირაკლი ფაღავა, "ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა", ენრიკო გაბიძაშვილი 90 (თბილისი, 2021), 343-370; ირაკლი ფაღავა, "ნუმიზმატიკური და სფრაგისტიკული ცნობები პლატონ იოსელიანის ნაშრომში "ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა" (იესე ოსეს შვილის ბეჭდების განხილვითურთ)", ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების მოამბე, №1 (2020), 73-98; ირაკლი ფაღავა, "სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯრიდან და ყარაბაღიდან" (იბეჭდება); ირაკლი ფაღავა, "სირმა მონეტების განძი ბოლნისის მიდამოებიდან"/ "A Hoard of Sirma Coins from the Vicinities of Bolnisi", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. Ilia State University. G. Tsereteli Institute of Oriental Studies. საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა. International Conference *The Middle East and Caucasus: History, Culture, Politics.* თეზისები. Abstracts. თბილისი / Tbilisi. 16-18/12/2021. ([თბილისი, 2021[), 63-65; Irakli Paghava, "Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)", *Катедра Universum: Електронний Збірник науково-популярних праць з історії, археології, информаційної, архівної та музейної справи*. Випуск 3 (2021), 13-15.

[4] Александр Акопян, "Новые данные о монетных находках из Армении и прилегающих областей", *Нумизматика Золотой Орды*, 5 (2015), 120, #24.

[5] იქვე.

[6] Paghava, "Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)", 13-15.

სამონეტო კომპლექსი II

2010-იანი წლების დასაწყისში ქ. ერევანში გვაჩვენეს 4 მონეტა, მირჩილვის კვალითა და მსგავსი პატინით. აქედან 3 მონეტა წარმოადგენდა ქართულ სირმა აბაზს, შემდეგი თარიღებით: ჰ. [120?]7 (1792/3) (2.76 გ, 18.2-19 მმ), ჰ. [12]11 (1796/7) (2.89 გ, 18 მმ) და განურჩევადი თარიღით (2.89 გ, 19-20 მმ); მეოთხე მონეტა კი - თბილისური სირმა აბაზის ტიპის განჯის აბაზიანს,[7] დათარიღებულს ჰ. 1205 წლით (1790/1) (გახვრეტილი, 2.73 გ, 18 მმ).[8] ამრიგად, მეტროლოგიურად ყველა მონეტა იდენტურია, საერთო რაოდენობის სამი მეოთხედი კი უშუალოდ თბილურ სირმა აბაზს წარმოადგენს.

აღნიშნული მონეტები, უდიდესი ალბათობით, ერთი და იმავე სამკაულიდან იყო ჩამოხსნილი, და, ერთგვარ სამონეტო კომპლექსს წარმოადგენდა.[9] საზოგადოდ, მონეტებიდან აწყობილი ამგვარი სამკაულებისა თუ მონისტოების შედგენილობა, ბუნებრივია, ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევას ასახავს და, ამგვარად, სპეციფიკურ, მაგრამ ვალიდურ საკვლევ მასალას წარმოადგენს. ხსენებული სამკაულის აწყობისა და შედგენის ადგილი უცნობია, თუმცა, ერევანში მისი აღმოჩენა გარკვეული ალბათობით ისტორიულ ერევნის სახანოს ტერიტორიაზე მიუთითებს.[10] სამონეტო კომპლექსიც, ამ შემთხვევაშიც, გარკვეულწილად, ერევნის სახანოს სამონეტო მიმოქცევას ასახავს. ამ სამონეტო კომპლექსს პირობითად *ერევნის II განძს* ვუწოდებთ.

ყველაზე გვიანდელი მონეტაა ჰ. [12]11 წლით დათარიღებული (1796/7) სირმა აბაზიანი; სწორედ ეს წელი არის terminus ante quem non კომპლექსის ჩამოყალიბებისათვის. ამრიგად, სამონეტო კომპლექსიც, დიდი ალბათობით, XVIII საუკუნის ბოლოსთვის შეიქმნა, და ასახავს რეგიონში XVIII საუკუნის ბოლო მესამედის სამონეტო მიმოქცევას (რასაკვირველია, ეს დასკვნა ერთგვარად პირობითია, ვინაიდან სამონეტო კოპლექსიდან მხოლოდ 4 მონეტა გახდა ცნობილი, ასე რომ, შეუძლებელია გამოირიცხოს მასში უფრო გვიანდელი მონეტების არსებობაც, რაც სამონეტო კომპლექსს გაახალგაზრდავებდა).

ეს განძიც, წინანდელივით, მიეკუთვნება სირმა მონეტების შემცველი განძების II ჯგუფს.[11]

სამონეტო კომპლექსი III

2013 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, "ყარაბაღში" იპოვეს 102 მონეტისგან შემდგარი განძი.[12] აქედან 3-ის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა (გამომქვეყნებელს, სამწუხაროდ, მონეტების ლითონიც კი არა აქვს მითითებული). დარჩენილი 99 მონეტიდან 1 სპილენძისაა – გაცვეთილი, როგორც ჩანს, რუსული მონეტა წმ. გიორგის გამოსახულებით; დანარჩენი 98 მონეტა (საერთო რაოდენობის თითქმის 99%) ვერცხლისაა. ეს მონეტები წარმომავლობისა და ემიტენტის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

- სეფიანთა სახელმწიფო: ხოვეიზას 11 მონეტა[13] (თარიღებით ჰ. 1088 / 1677/8, x08x, დანარჩენებზე თარიღი არ ჩანს; ამ უკანასკნელთა შორის 2-ს ყურწები აქვს მირჩილული და

---

[7] ამ სამონეტო ტიპზე და მის ემიტენტზე ჩვენი მსჯელობა სხვა ნაშრომშია მოყვანილი. Ираклий Пагава, “Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)”, *Эпиграфика Востока*, XXX (2013), 227-233.

[8] იქვე, 228-230.

[9] სხვა საკითხია, თუ რამდენად ერთგვაროვანი იყო ის; ანუ, თუ რამდენად რეპრეზენტატიულია ამ მონისტო-კომპლექსისთვის ჩვენს მიერ შესწავლილი ოთხი მონეტა.

[10] იქვე, 230.

[11] Paghava, “Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K’akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)”, 13-15.

[12] Акопян, “Новые данные о монетных находках из Армении и прилегающих областей”, 119, #20.

[13] გამომქვეყნებელს ნომინალი მითითებული აქვს როგორც "‘აბბასი", თუმცა, ამ ზარაფხანისთვის დამახასიათEებელი იყო მეტად პოპულარული 1/2 ‘აბბასის ნომინალის მონეტების ემისია. ირაკლი ფაღავა,

რგოლით არის შეერთებული?); სულთან ჰუსეინ I-ის 5 მონეტა - თბილისის მართკუთხა მუჰამმადი, რომელსაც ყურწი აქვს მირჩილული; თარიღი ზედ ვერ იკითხება; ჰ. 1130 / 1717/8 წ. ნახიჭევნისა და თაბრიზის თითო ‘აბბასი; ჰ. 1130-იანი წლების ირავანის მუჰამმადი; ‘აბბასი, რომლის მოჭრის ადგილი და წელი არ იკითხება; თაჰმასბ II-ის 2 მონეტა - ჰ. 1142 / 1729/30 ისფაჰანისა და თაბრიზის თითო ‘აბბასი). სულ 18 მონეტა (იდენტიფიცირებული ვერცხლის მონეტების 18.4%);

- ავშარიანთა სახელმწიფო: ნადირ-შაჰის სხვადასხვა ტიპის 2 ‘აბბასი (მათ შორის ერთი თბილისშია მოჭრილი – თარიღი არ იკითხება); ადილ-შაჰის 1 ‘აბბასი (მოჭრის ადგილი და წელი არ იკითხება) (3.1%);
- ოსმალეთის იმპერია (კავკასიაში განხორციელებული ემისია): მაჰმუდ I-ის განჯის ზარაფხანაში მოჭრილი მუჰამმადი / ბეშლიყი, რომელსაც ყურწი აქვს მირჩილული (და რგოლით შეერთებულია ზევით ნახსენებ თბილურ მართკუთხა მუჰამმადისთან) (1.0%);
- XVIII საუკუნის II ნახევრის სახანოები და ქართლ-კახეთის სამეფო (სულ 70 მონეტა, 71.4%):
    - თაბრიზის სახანო: 2 ‘აბბასი (ჰ. 1181 / 1767/8 და 1182 / 1768/9 წწ.) (2.0%);
    - შემახის სახანო: 9 ‘აბბასი (ჰ. 1181 / 1767/8, 1183 / 1769/70, 12ხხ წწ., დანარჩენებზე თარიღი არ იკითხება) (9.2%);
    - ყარაბაღის სახანო: სხვადასხვა ტიპის 46 მონეტა (თარიღი ბევრზე არ იკითხება; ყველაზე ადრეული დათარიღებულია ჰ. 1209 წლით / 1794/5; გვიანდელი კი – 1223 წლით / 1808/9) (46.9%);
    - განჯის სახანო: სხვადასხვა ტიპის 10 ‘აბბასი (თარიღი ყველაზე არ იკითხება; ყველაზე ადრეული დათარიღებულია ჰ. 1184 წლით / 1770/1; გვიანდელი კი – 1209 წლით / 1794/5; განძში შედის ასევე "1188" წლით დათარიღებული მონეტაც, რომლის თარიღიც მოიაზრება შეცდომად დაწერილ ჰ. 1178 წლად / 1764/5) (10.2%);
    - შაქის სახანო: 2 ‘აბბასი (ჰ. "3121", ე.ი. 1213 / 1798/9, და 1219 / 1804/5 წწ.) (2.0%);
    - ქართლ-კახეთის სამეფო: ჰ. 1192 წ. (1778) სირმა აბაზი (1.0%);
- რუსეთის იმპერია: ელისაბედ II-ის ნახევარპოლტინიკი (1756 წ., მირჩილული ყურწებითა და მათზე მიერთებული რგოლებით); ეკატერინე II-ის 3 ცალი 20-კაპიკიანი (1767 წ., 178ხ წ.; მესამეზე თარიღი არ იკითხება), და 1 რუბლი (1775 წ.); პავლე I-ის რუბლი (1801 წ.). სულ 6 მონეტა (6.1%).

ყველაზე ადრინდელია ხოვეიზას ჰ. 1088 წლის (1677/8) მუჰამმადი (?); ხოლო ყველაზე გვიანდელი _ ყარაბაღის სახანოს ვერცხლის მონეტა, რომელიც დათარიღებულია ჰ. 1223 წლით (1808/9). ამრიგად, განძის ტეზავრაციის terminus post quem არის XIX საუკუნის I დეკადის დასასრული.

განძი ასახავს და ახასიათებს, პირველ რიგში, ყარაბაღის სახანოს სამონეტო მიმოქცევას. ნაპოვნია იმავე სახანოს ისტორიულ ტერიტორიაზე. ამიტომ, *ყარაბაღის II განძს* ვუწოდებთ.[14] ამრიგად, ეს განძიც მიეკუთვნება სირმა მონეტების შემცველი სამონეტო კომპლექსების II ჯგუფს.[15]

ყურადღებას იპყრობს რამდენიმე გარემოება:

- სეფიანთა სახელმწიფოს სამონეტო ემისიების სიუხვე; სეფიანთა მონეტები 1810 წლისთვისაც რჩება კავკასიისა და, კერძოდ, ყარაბაღის სახანოს სამონეტო მიმოქცევაში და მის არსებით ნაწილსაც კი შეადგენს (18 მონეტა 98-დან, განძის ვერცხლის მონეტების 18.4%);

"ავშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში", *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, #2(8) (2010), 404. როგორც ჩანს, ნომინალი შეცდომითაა მითითებული.

[14] ქვეყნდება ყარაბაღის I განძიც. ფაღავა, "სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯრიდან და ყარაბაღიდან".

[15] Paghava, “Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K’akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)”, 13-15.

- XVIII საუკუნის II ნახევრის კავკასიური სახელმწიფოების, ანუ, სახანოებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტების როლი სახანოების, კერძოდ, ყოველ შემთხვევაში, ყარაბაღის სახანოს სამონეტო მიმოქცევაში (70/98-დან, 71.4%);
- ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა საფასის ერთის მხრივ შემოტანა და მიმოქცევა მეზობელი სახანოების ტერიტორიაზე, მეორეს მხრივ კი, მისი შეზღუდული როლი – მოცემულ განძში მისი ხვედრითი წილი მხოლოდ 1.0%-ია (ზემოთ განხილულ ერევნის I და II განძებში სირმა ვერცხლის ხვედრითი წილი შესაბამისად 85 და 75%-ია; აქამდე ჩატარებული მეტა-ანალიზის საფუძველზე მიღებული ციფრი 5.6-25.0%-ს შეადგენდა[16]). თუმცა, სახანოების ტერიტორიაზე აღმოჩენილ განძებში შემავალი სირმა ვერცხლის ხვედრითი წილი შეიძლება ადეკვატურად ვერ ასახავდეს ქართლ-კახეთის სამეფოდან სახანოებში სირმა ვერცხლის (უპირველეს ყოვლისა სირმა აბაზების?) ექსპორტის ჭეშმარიტ მასშტაბს. გამოვთქვამთ ჰიპოთეზას, რომ სახანოების ვერცხლის მონეტების ემისიისთვის აუცილებელ ნედლეულს, ანუ, ძვირფასი ლითონის ძირითად წყაროს, სწორედ ქართული სირმები წარმოადგენდა (წარმოებდა მათი გადადნობა);
- 1810 წლისთვის, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის ექსპანსიის მიუხედავად, რუსული საფასე ყარაბაღის სახანოში (საფიქრებელია, საზოგადოდ, სახანოებში) ჯერ კიდევ საკმაოდ მოკრძალებულ როლს თამაშობს – 6/98-დან, ანუ, მხოლოდ 6.1%. თუმცა, მონეტების, მათ შორის, ორი რუბლიანის, წონასრულობის გათვალისწინებით, რუსეთის იმპერიის საფასის ხვედრითი წილი, ბუნებრივია, უფრო მაღალია).

სამონეტო კომპლექსი IV

2005 წელს გავეცანით საქართველოში, კერძოდ, გადმოცემით, დღევანდელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დაუზუსტებელ ადგილას, აღმოჩენილ ვერცხლის მონეტების პატარა განძს. მისი პოვნის ზუსტი გარემოებები უცნობი დარჩა. მპოვნელის თქმით, საკარმიდამო ნაკვეთში სამიწათმოქმედო სამუშაოების შესრულებისას მიწის ზედაპირზე გამოჩნდა ვერცხლის მონეტა; შემდგომში, იქვე, მიწაშივე, აღმოჩნდა კიდევ ოთხი ეგზემპლარი. პოვნის ადგილის მიხედვით ამ სამონეტო კომპლექსს პირობითად *დუშეთის განძს* ვუწოდებთ.

მონეტების გადაღება და/ან აწონვა ვერ მოხერხდა. ჩვენების შემდეგ, მპოვნელმა მონეტები უკანვე წაიღო. მიუხედავად ამისა, კომპლექსის შემადგენლობა დაფიქსირებულია ჩვენს ჩანაწერებში: 4 სირმა აბაზი, დათარიღებული ჰ. 118x (სტილით, ჰ. 1182, 1183, ან 1184 წ. / 1768-1771), 1201 (1786/7) (სამონეტო ტიპი, რომელსაც ახასიათებს თარიღის აღმნიშვნელი ციფრების თავისებური მოყვანილობა და არასტანდარტული კარტუში[17]), 1205 (1790/1), და 1207 (1792/3) წლებით; და 1 უზალთუნი, დათარიღებული ჰ. 1211 (1796/7) წლით.

მონეტების რაოდენობიდან გამომდინარე, აღნიშნული სამონეტო კომპლექსი წარმოადგენს ე.წ. *ქისას,* ანუ, ძალიან მცირე ზომის განძს,[18] სავარაუდოდ, მფლობელის დღენიადაგ სახარჯად გამიზნულ ფულს, და არა მიზანმიმართულ დეპოზიტს.

ამ გარემოების გათვალისწინებით, საინტერესოა, რომ 5 მონეტიდან 1 (20%) არის უზალთუნი. ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე, სახელმწიფოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე ტეზავრირებული განძები პრაქტიკულად ექსკლუზიურად სირმა აბაზებისგან შედგება.[19] საფიქრებელია, რომ ტეზავრაციას ექვემდებარებოდა პირველ რიგში, წამყვანი, სრულწონიანი და

[16] იქვე, 15; ფაღავა, "სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯრიდან და ყარაბაღიდან".

[17] Cf. Irakli Paghava, “A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis”, *Caucasian Numismatics. Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to ONS Newsletter 197* (2008), 8-11; Severiane Turkia, Irakli Paghava, “The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH “1166” and Its Dating”, *Caucasian Numismatics. Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to ONS Newsletter 197* (2008), 31-32.

[18] Cf. ირაკლი ფაღავა, "ქართველ მეფეთა XII-XIII საუკუნეების მონეტების საფულე ქვემო ქართლიდან", ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების მოამბე №1 (2020), 52-62.

[19] Paghava, “Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K’akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)”, 15.

მაღალსინჯიანი, სტანდარტული ნომინალი - აბაზი; თუმცა, მიმოქცევაში, ანუ, მოსახლეების ქისებში, გარკვეულ რაოდენობით აშკარად სხვა ნომინალის სირმა ვერცხლის მონეტებიც მოიპოვებოდა.

ყველაზე გვიანდელი მონეტა ჰ. 1211 წლით არის დათარიღებული (1796/7), და განძის ტეზავრაციაც XVIII საუკუნის დასასრულით უნდა დათარიღდეს – XIX საუკუნის მონეტები მასში, როგორც ჩანს, არ შესულა.

ამრიგად, ეს სამონეტო კომპლექსი მიეკუთვნება სირმა მონეტების შემცველი განძების I ჯგუფს, რომელიც ასახავს საფასის მიმოქცევას უშუალოდ ქართლ-კახეთის სამეფოში (შემუშავებული კლასიფიკაციით[20]).

სამონეტო კომპლექსი V

2017 წელს გავეცანით საქართველოში, კერძოდ, გადმოცემით, შიდა თუ ზემო ქართლში, დაუზუსტებელ ადგილას ნაპოვნ ვერცხლის მონეტების პატარა განძს. აღმოჩენის ზუსტი გარემოებები უცნობი დარჩა. გადმოცემით, სულ მხოლოდ 4 (თუ 5?) ვერცხლის მონეტა ინახა. პოვნის ადგილის მიხედვით ამ სამონეტო კომპლექსს პირობითად *ქართლის უპასპორტო განძს* ვუწოდებთ.

ოთხივე მონეტა სირმა აბაზი იყო, შემდეგი თარიღებით: ჰ. 1184 (1770/1) (გახვრეტილი), ჰ. 1192 (1778/9), და ორი ეგზემპლარი დათარიღებული 1201 (1786/7) წლით (ასევე, თავისებური ტიპის, იხ. ზემოთ; აღსანიშნავია, რომ მონეტები იმავე ზურგის სიქით, მაგრამ სხვადასხვა შუბლის სიქით იყო მოჭრილი).

საფიქრებელია, რომ ეს სამონეტო კომპლექსიც, ისევე როგორც სამონეტო კომპლექსი IV, წარმოადგენს შემთხვევით დაკარგულ *ქისას*, სავარაუდოდ, დღენიადაგ სახარჯად გამიზნული თანხით, და არა საგანგებოდ გადანახულ ფულად დეპოზიტს.

ყველაზე გვიანდელი მონეტა ჰ. 1201 წლით არის დათარიღებული (1786/7), და განძის ტეზავრაციაც 1780-იანი წლების დასასრულით ან 1790-იანი წლებით უნდა დათარიღდეს – XIX საუკუნის მონეტები ამ სამონეტო კომპლექსში არ დაფიქსირდა.

ამრიგად, ეს სამონეტო კომპლექსიც მიეკუთვნება სირმა მონეტების შემცველი განძების I ჯგუფს, რომელიც ასახავს საფასის მიმოქცევას უშუალოდ ქართლ-კახეთის სამეფოში (შემუშავებული კლასიფიკაციით[21]).

სამონეტო კომპლექსი VI

კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში გვაჩვენეს გადმოცემით, საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში?), დაუზუსტებელ ადგილას შემთხვევით ნაპოვნი ვერცხლის მონეტებისა და ნივთების პატარა განძი. პოვნის ზუსტი ადგილი, გარემოებები და არქეოლოგიური კონტექსტი, სამწუხაროდ, უცნობია. ამ სამონეტო კომპლექსს პირობითად *მთიანეთის განძს* ვუწოდებთ.

კომპლექსი შედგებოდა 23 ვერცხლის მონეტისგან (საერთო წონით 42.87 გ) და ვერცხლის არტეფაქტებისგან (ვერცხლის ფირფიტის 4 ნატეხი, ვერცხლის სამკაულის 11 ელემენტი, ჯამური წონით 17.24 გ). განძში შემავალი ვერცხლის მონეტებისა და არტეფაქტების ჯამური წონაა 60.11 გ; აქედან მონეტებზე მოდიოდა წონის 71.3%, არტეფაქტებზე კი 28.7%. განძი ჩადებული ყოფილა წითელი თიხის უბრალო მოუჭიქავ ქოთანში.

ამ შერეული განძის სამონეტო ნაწილი შედგებოდა რამდენიმე კომპონენტისგან:

გვიან-ფეოდალური ხანის საქართველოს ე.წ. "დაკნინებული", მაგრამ მძიმეწონიანი (sic) მონეტა (1.30 გ), ცალ მხარეს ოთხფეხა ცხოველის, მეორე მხარეს კი (ასომთავრული?) წარწერის ფრაგმენტებით. შესაბამისად, მონეტების ერთობლიობის 4.3% რაოდენობით და 3.0% წონით.

[20] იქვე, 13-15.
[21] იქვე.

მონეტა, შესაძლოა, აქამდე უცნობ ტიპს მიეკუთვნება; თუმცა, მეტროლოგიურად და იკონოგრაფიულად მსგავსი მონეტები გამოქვეყნებულია.[22]

ოსმალეთის იმპერიის მონეტები: მუსტაფა III-ის (1757-1774) ბილონის ფარა, გაყინული თარიღით ჰ. 1171 და "81", ისლამბულის ზარაფხანა (გახვრეტილი); და სელიმ III-ის (1789-1809) ბილონის ფარა, გაყინული თარიღით 1203 (მონეტის გაცვეთილობიდან გამომდინარე, სხვა თარიღი არ ეტყობოდა) (გახვრეტილი). სულ 2 მონეტა, ჯამური წონით 0.68 გ. შესაბამისად, მონეტების ერთობლიობის 8.7% რაოდენობით და 1.6% წონით.

რუსეთის იმპერიის მონეტები: ელისაბედის 5-კაპიკიანი, თარიღით 1756 (გახვრეტილი); ეკატერინე II-ს 4 გრივენნიკი, თარიღებით 1174? (გახვრეტილი), 1783, 1794 (გახვრეტილი), 1796. სულ 5 მონეტა, ჯამური წონით 10.02 გ, ანუ, მონეტების ერთობლიობის 21.7% რაოდენობით და 23.4% წონით.

ქართლ-კახეთის სამეფოს შაური ავშარიანი მმართველის, შაჰ-როჰის სახელით, თარიღით ჰ. "116" (მირჩილული ყურით), წონით 1.20 გ. შესაბამისად, მონეტების ერთობლიობის 4.3% რაოდენობით და 2.8% წონით.

ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა საფასე: 8 სირმა აბაზი, თარიღებით ჰ. 1182 (1768/9) (3.00 გ), ჰ. 1196 (1781/2) (3 ეგზემპლარი: 3.00 გ და 2 ნახვრეტით 2.88 და 2.89 გ), ჰ. 1205 (1790/1) (3.11 გ), ჰ. 1211 (1796/7) (2 ეგზემპლარი, აქედან 1 ნახვრეტით – შესაბამისად 3.03 გ და 2.76 გ), 12xx (ნახვრეტით, 2.55 გ); 3 სირმა უზალთუნი, თარიღებით ჰ. 11ხხ (გახვრეტილი) (1.54 გ), ჰ. 1213 (1798/9) (1.52 გ) და ერთი ჰიბრიდული ეგზემპლარი მოჭრილი სირმა უზალთუნის შუბლის სიქით (ინვოკაციით "ია, ქერიმ") და სირმა აბაზის ზურგის სიქით (ყურანული ფორმულით), და, ამგვარად, თარიღის გარეშე (გახვრეტილი) (1.32 გ); 3 სირმა შაური, უთარიღო (?) (გახვრეტილი) (0.73 გ), ჰ. [121]3? (1798/9) (გახვრეტილი) (0.65 გ), და ერთი ჰიბრიდული ეგზემპლარი მოჭრილი სირმა უზალთუნის შუბლის სიქით (ინვოკაციით "ია, ქერიმ") და სირმა აბაზის ზურგის სიქით (ყურანული ფორმულით), და, ამგვარად, თარიღის გარეშე (0.66 გ). სულ 14 მონეტა, საერთო წონით 29.64 გ, ანუ, მონეტების ერთობლიობის 60.9% რაოდენობით და 69.2% წონით.

განძის ყველაზე გვიანდელი მონეტებია ჰ. 1213 (1798/9) წლების სირმა უზალთუნი და შაური; XIX საუკუნის მონეტები განძში არ ჩანს. აქედან გამომდინარე, მისი ტეზავრაცია XVIII საუკუნის დასასრულისთვის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, XIX საუკუნის დასაწყისისთვის უნდა ვივარაუდოთ.

ამრიგად, ზემოთ აღწერილი განძი, თითქოს, უნდა ასახავდეს XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევას. შესაბამისად, ფორმალურად მაინც, ეს სამონეტო კომპლექსი მიეკუთვნება სირმა მონეტების შემცველი განძების I ჯგუფს (შემუშავებული კლასიფიკაციით[23]).

თუმცა, რამდენიმე გარემოება მკვეთრად გამიჯნავს ამ განძს ქართლ-კახეთის სამეფოს მიმოქცევის ამსახველი და სირმა ვერცხლის შემცველი სხვა განძებისგან.[24] ჩამოვთვლით ამ გარემოებებს:

- ქრონოლოგიური არაკომპაქტურობა: განძში შესულია გვიან-ფეოდალური საქართველოს ე.წ. "დაკნინებული" მონეტა, რომლიც დათარიღება XV-XVI საუკუნეებით ეჭვს არ უნდა იწვევდეს. გარდა ამისა, განძში შესულია რუსული 1756 წლის 5-კაპიკიანი და შაჰ-როჰის თბილური შაური, მოჭრილი 1740-იანი წლების დასასრულს, თუ 1750-იან წლებში;
- ტიპოლოგიური არაერთგვაროვნება: ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე ტეზავრირებული განძები პრაქტიკულად ექსკლუზიურად სირმა ვერცხლისგან შედგება (სირმა ვერცხლის ხვედრითი წილი 100%).[25] ამ განძში კი, მისი არტეფაქტული

[22] Иракли Пагава, Роланд Спандерашвили, "Комплекс тяжеловесных грузинских монет позднефеодального времени из Квемо-Картли", *Средневековая нумизматика Восточной Европы. Выпуск 7* (Москва, 2018), 354-361.
[23] Paghava, "Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)", 13-15.
[24] იქვე, 14.
[25] იქვე, 15.

ნაწილი რომც უგულებელვყოთ, სირმა ვერცხლზე მოდიოდა მონეტების ერთობლიობის მხოლოდ 60.9% რაოდენობით და 69.2% წონით;

- მაღალია პატარა ნომინალის სირმა მონეტების ხვედრითი წილი: 6/14-დან, ანუ, 42.9% (წონით, ბუნებრივია, მხოლოდ, ნაკლები იქნება – სამივე შაურის საერთო წონა არის 2.04 გ, სამივე უზალთუნის – 4.38 გ, რვა აბაზის კი 23.22 გ, ანუ, წონით, მცირე ნომინალის მონეტების ხვედრითი წილი შეადგენს მხოლოდ 21.7%-ს); აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე ტეზავრირებული განძები თითქმის ექსკლუზიურად სირმა აბაზებისგან შედგება, და არ შეიცავს სხვა ნომინალის სირმა ვერცხლს[26]; საყურადღებოა ისიც, რომ განძის მონეტებს შორის ბევრია სხვა, მცირე წონის მონეტებიც – ოსმალური ფარები; დაკნინებული ქართული მონეტა; შაჰ-როჰის თბილური შაური; რუსული 5-კაპიკიანი, თუ, თუნდაც, გრივენნიკები;
- განძის მონეტების მნიშვნელოვანი ნაწილი გახვრეტილია: 11/23-დან, ანუ, 47.8% (მათ შორის 4 სირმა აბაზი 8-დან, რაც ამ ნომინალის მონეტებისთვის საკმაოდ უჩვეულო მოვლენაა); გარდა ამისა, კიდევ ერთ მონეტაზე ყურწია მირჩილული (დამატებით, 4.3%). ამგვარად, მონეტების ნახევარზე მეტი (52.2%) ასე ვთქვათ, დეფექტურია, რაც სრულად არადამახასიათებელია ეპოქის განძებისთვის.

  ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებების საფუძველზე, ჩნდება ეჭვი, რომ ეს სამონეტო კომპლექსი გამორჩეულია თავისი ბუნებით და დანიშნულებით. გამოვთქვამთ ჰიპოთეზას, რომ ეს არის ე.წ. რელიგიურ-ეთნოგრაფიული ხასიათის განძი, ამა თუ იმ ტიპის სალოცავისადმი შეწირული სამონეტო კომპლექსი, რომელიც, ამასთანავე, შედარებით ხანგრძლივი დაგროვების განძს წარმოადგენს. ამ მხრივ, სირმა მონეტების შემცველ განძებს შორის ის, ჯერჯერობით მაინც, უნიკალურია.

*

ზემოთ აღწერილი და განხილული ექვსი სამონეტო კომპლექსი განავრცობს ჩვენს ცოდნას ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა ვერცხლის მიმოქცევაზე; აადვილებს შესაბამისი განძების მეტა-ანალიზს, და, შესაბამისად, იმედი გვაქვს, ხელს შეუწყობს ქართლ-კახეთის სამონეტო ისტორიის შესწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა - References:

1. ფაღავა, ირაკლი. ”ავშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში”. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, 2 (8) (2010): 391-407.
2. ფაღავა, ირაკლი. ”ახალი მონაცემების ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების კავკასიაში მიმოქცევის თაობაზე (სირმა აბაზების შემცველი ორი განძი მანავიდან და კოჯრიდან)”. 94. Paghava Irakli. “New Data on the Circulation of Silver Coins of the Kingdom of Kartl-Kakheti in Caucasus (Two Hoards Comprising Sirma Abazis from Manavi and Kojori)”. 206. *საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, მოხსენებათა თეზისები / International Congress of Caucasian Studies. Abstracts. Tbilisi / Tbilisi, 3-5/X/2022.* [თბილისი:] ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. [Tbilisi:] Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2022.
3. ფაღავა, ირაკლი. ”ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა”. 343-370. *ენრიკო გაბიძაშვილი 90.* თბილისი, 2021.

[26] იქვე.

4. ფაღავა ირაკლი. ”ნუმიზმატიკური და სფრაგისტიკული ცნობები პლატონ იოსელიანი ნაშრომში “ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა” (იესე ოსეს შვილის ბეჭდების განხილვითურთ)”. *ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების მოამბე*, 1 (2020): 73-98.
5. ფაღავა ირაკლი. ”სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯრიდან და ყარაბაღიდან” (იბეჭდება).
6. ფაღავა, ირაკლი. ”სირმა მონეტების განძი ბოლნისის მიდამოებიდან“ / “A Hoard of Sirma Coins from the Vicinities of Bolnisi”. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. Ilia State University. G. Tsereteli Institute of Oriental Studies. საერთაშორისო კონფერენცია *ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა.* International Conference *The Middle East and Caucasus: History, Culture, Politics.* თეზისები. Abstracts. თბილისი / Tbilisi. 16-18/12/2021. [თბილისი, 2021]: 63-65.
7. ფაღავა, ირაკლი. ”ქართველ მეფეთა XII-XIII საუკუნეების მონეტების *საფულე* ქვემო ქართლიდან”. *ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების მოამბე*, 1 (2020): 52-62.
8. Album, Stephen. *Checklist of Islamic Coins. Third Edition.* 2011.
9. Paghava Irakli. “A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis”. *Caucasian Numismatics. Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to ONS Newsletter 197* (2008): 6-12.
10. Paghava, Irakli. “Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K’akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)”. *Катедра Universum: Електронний Збірник науково-популярних праць з історії, археології, информаційної, архівної та музейної справи*. Випуск 3 (2021): 13-15.
11. Turkia, Severiane & Paghava, Irakli. “The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH “1166” and Its Dating”. *Caucasian Numismatics. Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to ONS Newsletter 197* (2008): 28-32.
12. Акопян, Александр. “Новые данные о монетных находках из Армении и прилегающих областей”. *Нумизматика Золотой Орды*, 5 (2015): 116-124.
13. Пагава, Иракли. “Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)”. *Эпиграфика Востока*, XXX (2013): 201-242.
14. Пагава, Иракли, Спандерашвили Роланд. “Комплекс тяжеловесных грузинских монет позднефеодального времени из Квемо-Картли”. 354-361. *Средневековая нумизматика Восточной Европы. Выпуск 7.* Москва, 2018.